

„გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების“ პროექტის („შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების“ კომპონენტი) ფარგლებში შესაქმნელი შემნახველი საწარმოს სტანდარტები

შემნახველი საწარმოს შენობა-ნაგებობა და მიმდებარე ტერიტორია

1. შემნახველი საწარმოსთვის განკუთვნილი კაპიტალური შენობა-ნაგებობის ან/და კონსტრუქციის შესანახი კამერები შეფუთული უნდა იყოს პოლიურეთანის სენდვიჩის ფილებით ან პოლიურეთანის სენდვიჩის ფილები დამაგრებული უნდა იყოს ლითონის კონსტრუქციაზე (შესაძლებელია გამოყენებული იყოს პოლისტიროლიც).
2. შემნახველი საწარმო გათვლილი უნდა იყოს HACCP-ის (საფრთხის ანალიზი და კრიტიკული საკონტროლო წერტილები) სისტემის საბაზისო მოთხოვნებზე;
3. კონსტრუქციას / კაპიტალურ შენობა-ნაგებობას უნდა გააჩნდეს დამატებით საწვიმარი გადახურვა;
4. შენობა-ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე შესაძლებელი უნდა იყოს დატვირთული მანქანით მუშაობა;
5. შემნახველ საწარმოში გათვალისწინებული უნდა იყოს: სველი წერტილები, სადუბინფექციო ბარიერი, საშხაპეები და გასახდელეები ცალკე მამაკაცებისათვის და ცალკე ქალებისთვის;
6. შემნახველი საწარმო უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყლისა და დენის წყაროთი;
7. შემნახველი საწარმოს იატაკი მოწყობილი უნდა იყოს დამუშავებული და მოპრიალებული ზედაპირის მქონე ბეტონით. შემნახველი საწარმო დაყოფილი უნდა იყოს კამერებად და იძლეოდეს პროექტით გათვალისწინებული პროდუქციის შენახვის შესაძლებლობას;
8. საწარმოს მიმდებარე ტერიტორია უნდა იყოს შემოღობილი
9. შემნახველი საწარმოს შემოღობილი ტერიტორია, რომლის ნაწილიც წარმოადგენს სატვირთო ავტომობილის სამოდრაო გზას უნდა იყოს დაფარული ასფალტის ფენით ან ბეტონით;
10. შემნახველი საწარმოსათვის შერჩეულ მიწის ნაკვეთთან უნდა იყოს შესაძლებელი სატვირთო ავტომობილის მისვლა

შემნახველი საწარმოს მოწყობილობები:

1. შესაძლებელი უნდა იყოს თითოეული კამერის ტემპერატურული რეჟიმისა და ტენიანობის ინდივიდუალური რეგულირება, რაც უზრუნველყოფს სურსათის უვნებლობას და სტაბილური ხარისხის შენარჩუნებას;
2. შემნახველი საწარმო ადჰურვილი უნდა იყოს არანაკლებ 500 კილოგრამიანი სასწორით.
3. შემნახველი საწარმოს სამაცივრე საწყობი საჭიროების მიხედვით უნდა იყოს შესაბამისი აგრეგატებით უზრუნველყოფილი, რომელიც შენობაში შექმნის საჭირო ტემპერატურული რეჟიმებს.
4. შემნახველი საწარმოს მშრალი საწყობი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სავენტილაციო სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს ვენტილაციას, ჰაერის ნაკადის მოძრაობას, რაც გამორიცხავს პროდუქტების ჩახურებას;

5. შემნახველი საწარმოსთვის შესაძენი აგრეგატები არ უნდა მოიხმარდნენ ოზონდამშლელ ნივთიერებებს, კერძოდ HCFC22 -ს და უნდა მოიხმარდნენ ალტერნატიულ და ბუნებრივ მაცივარგენტებს, როგორცაა ნახშირწყალბადები, ბუნებრივი აირი, ფრეონი;